შპს ოქლიფის სკოლაში მშობელთან კომუნიკაციის წესი მუხლი 1.

ზოგადი დებულებები

1. შპს ოქლიფის სკოლაში მშობლებთან კომუნიკაციის წესი შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ და „შპს ოქლიფის სკოლის დებულების“ (შემდეგში – სკოლის დებულება) შესაბამისად და არეგულირებს ოქლიფის სკოლაში (შემდეგში – სკოლა) მოსწავლის მშობლებთან, ასევე, ნებისმიერ სხვა კანონიერ წარმომადგენელთან (შემდეგში – მშობელი) ურთიერთობის წესს.
2. წესი ეყრდნობა სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის და მშობლების წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპებს და მისი მიზანია, მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს განვითარებისათვის, ხელი შეუწყოს სკოლასა და მშობლებს შორის სწორი და ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბებას.

მუხლი 2. ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით მშობლისათვის განარტირებული უფლებები
1. მშობლის უფლებები განარტირებულია საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის დებულებით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. თითოეულ მშობელს თანაბარ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება, ისარგებლოს ამ წესით დადგენილი უფლებებით.
2. სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მშობლის უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები, თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე:
ა) ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა;
ბ) ნარკოტიკებისა, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა;
გ) უხამსობის ან ცილისწამების გავრცელების, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა;
დ) სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა.
3. მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს სკოლისაგან სწავლების მაღალი ხარისხი;
4. მშობელს უფლება აქვს, წარუდგინოს რეკომენდაციები სკოლის დირექტორს, აკადემიური მიმართულებით დირექტორის მოადგილეს ან/და კლასის დამრიგებელს.
5. მშობელს უფლება აქვს, მოითხოვოს სკოლისაგან მაღალი ხარისხის მომსახურება,

უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და სანიტარული ნორმების დაცვა.

6. მშობელი ან მისი შემცვლელი პირი უფლებამოსილია დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობით,

სკოლის დირექციასთან შეთანხმებით გონივრულ დროს თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 3. მშობლის ვალდებულებები
1. მშობელი ვალდებულია:
ა) იზრუნოს მოსწავლის ესთეტიკურ იერსახეზე, უზრუნველყოს სკოლაში მოსწავლის დროულად და მოწესრიგებულად გამოცხადება;
ბ) გამოცხადდეს სკოლაში შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში;
გ) რეგულარულად შეამოწმოს სკოლისათვის გადაცემული მისი პირადი ელექტრონული ფოსტა;
დ) მონაწილეობა მიიღოს კლასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხების განხილვაში;
ე) აანაზღაუროს მოსწავლის მიერ სკოლისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი; ვ) გაუფრთხილდეს სკოლის ავტორიტეტს;
ზ) დაიცვას სკოლის შინაგანაწესი;
თ) მოსწავლის მიერ სკოლაში გამოუცხადებლების შესახებ არანაკლებ 15 წუთით ადრე შეატყობინოს კლასის დამრიგებელს;
ი) მიიღოს მონაწილეობა სასკოლო აქტივობაში, თუ სკოლას დასაბუთებულად ესაჭიროება მისი ჩართულობა.

მუხლი 4. მშობლის ინფორმირების ვალდებულება
სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს ან მის შემცვლელ პირს ინფორმაცია:
ა) მისი შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის შესახებ;
ბ) სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებების შესახებ;
გ) სკოლაში მიმდინარე პროცესების, დღის რეჟიმის, მისი ცვლილების, საგაკვეთილო ცხრილის, მისი ცვლილების შესახებ ;
დ) სკოლის დებულების, სასკოლო სასწავლო გეგმის და სკოლის შინაგანაწესის შესახებ, ასევე, ყველა სხვა შიდასასკოლო დოკუმენტის შესახებ, რაც უკავშირდება მოსწავლის ან/და მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 5. სკოლის საქმიანობის შესახებ მშობლის ინფორმირების საშუალებები
სკოლის საქმიანობის შესახებ, ასევე, მოსწავლის ნებისმიერი საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის ინფორმირების მიზნით, სკოლა იყენებს შემდეგ ძირითად საშუალებებს:
ა) სკოლის ვებგვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაციის და პერიოდულად სიახლეების განთავსება;
ბ) სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე ინფორმაციის განთავსება;
გ) სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა (SchoolBook), რომელში ჩართულ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მშობელი;
დ) მშობლის ინფორმირება მისი პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
ე) მშობელთა კრება - შეხვედრა სკოლის მასწავლებელთან, მასწავლებლებთან ან/და

ადმინისტრაციასთან;
ვ) სკოლის გვერდი youTube-ზე, რომელზეც სკოლა პერიოდულად განათავსებს დაგეგმილი ან/და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
ზ) მოკლე ტექსტური შეტყობინება მშობლის პირად მობილურ ტელეფონზე;
თ) მშობლისათვის ოფიციალური სახით კორესპოდენციის – წერილის გაგზავნა ფოსტის მეშვეობით;
ი) მშობელსა და მასწავლებელს ან/და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაცია ან/და ინდივიდუალური შეხვედრა.

მუხლი 6. მშბლის მიერ სკოლიდან ინფორმაციის მიღების წესი

1. სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით და მშობლებთან გაფორმებული მოსწავლის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მშობლისათვის ყველა სახის საჯარო ინფორმაციის მიწოდებას, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“დადგენილი მოთხოვნების გათვალსიწინებით. ასევე, დადგენილი ოფიციალური წერილობითი მიმართვის გარეშეც, მშობელს შესაძლებლობა აქვს, თავისუფლად დაამყაროს წერილობითი (სკოლის ან/და სკოლის შესაბამისი თანამშრომლის ელექტრონული ფოსტის ან სოციალური გვერდის საშუალებით), სატელეფონო ან პირადი კომუნიკაცია სკოლის შესაბამის თანამშრომელთან (დირექტორი, დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით, მოსწავლის დამრიგებელი, მასწავლებელი და/ან სხვა).
2. თუ მოსწავლეს შეუსრულდა 18 წელი, ინფორმაციის მიწოდება მშობლისათვის შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მისი თანხმობით.
3. ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლების ან სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს ან საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ გათვალისწინებულ საიდუმლო ინფორმაციას, გაიცემა მხოლოდ შესაბამისი კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.
4. იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის (სკოლის თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი) ან სკოლასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის დანაშაულებრივი ქმედება და შესაბამისი ინფორმაცია შეიცავს ნებისმიერი პირის შესახებ საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ ან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ ინფორმაციას, ასეთი ინფორმაცია გაცემას არ ექვემდებარება და მიეწოდება შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებას.

მუხლი 7. მშბლის მიმართვის გარეშე სკოლის მიერ მისი ინფორმირება

1. მოსწავლის აკადემიური და პიროვნული ზრდის/ცვლილების შესახებ ინფორმაცია დროულად მიეწოდება მშობელს, ამ მიზნით, სკოლის პერსონალი ვალდებულია (განსაკუთრებით თუ ის უკავშირდება ნეგატიურ გამოვლინებებს) ინფორმაცია დროულად დაუყოვნებლივ მიაწოდოს სკოლის დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს აკადემიური მიმართულებით, რომელიც ახდენს ინფორმაციის ანალიზსს და მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ინდივიდუალური შეხვედრის

დანიშვნას, სატელეფონო კომუნიკაციის, მოკლე ტექსტური შეტყობიების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2. საჭიროების შემთხვევაში (გამომდინარე ინფორმაციის შინაარსიდან) ინფორმაცია მშობლის თანხმობით მიეწოდება საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეშვეობით ან უშუალოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ადგილობრივ თვითმმართველობას, ჯანდაცვას, სამართალდამცავ ორგანოებს და სხვა შესაბამის დაწესებულებებს, მათი კომპეტენციის გათვალისწინებით.

მუხლი 8. სასკოლო საზოგადოებისათვის, მათ შორის, მშობლისათვის სიახლეების ან სხვა სახის ინფორმაციის გაზიარების წესი

სკოლა ვალდებულებას იღებს ამ წესის მე-5 მუხლში გამოყენებული საშუალებების მეშვეობით უზრუნველყოს სათანადო გზავნილების გავრცელება სასკოლო საზოგადოებაში, კერძოდ, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება (მათ შორის, განახლების შემთხვევაში) შემდეგი საკითხების შესახებ:

ა) სკოლის მისია;

ბ) სკოლის სტრუქტურა;

გ) სასკოლო სასწავლო გეგმა (შესაბამისი ნაწილები); დ)

სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია;

ე) სკოლის ისტორია;

ვ) საგაკვეთილო ცხრილები;

ზ) სკოლაში მიმდინარე აქტივობების განრიგი;

თ) წარმატებული პროექტები;

ი) სხვა საკითხები, მათი შინაარსის გათვალსიწინებით.

მუხლი 9. კვლევითი საქმიანობა

სასკოლო საზოგადოებიდან საჭირო ინფორმაციის და უკუგების მიღების, ანალიზის და პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფის საქმიანობაში კვლევების დანერგვას სხვადასხვა მიმართულებით, ანონიმურობის სრული დაცვით ონლაინ გამოკითხვების, ასევე, ჩაღრმავებული ინტერვიუს განხორციელებას და ფოკუს ჯგუფების მოწყობას.

მუხლი 10. არაფორმალური აქტივობებში სასკოლო საზოგადოების ჩართვა

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook) და პლატფორმა youTube საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოების წევრებს მონაწილეობა მიიღონ ფორუმებში, საჯარო განხილვაში, გაცნობის შემდეგ განიხილონ ვიდეო რესურსები, მოსწავლეებმა მომავალში

შექმნან მათი ინტერესის შესაბამისად ჯგუფები და სხვ.

მუხლი 11. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მშობლის დროული ინფორმირების ვალდებულება

1. სკოლის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია, მოსწავლის მიერ შეუფერებელი ქცევის ჩადენის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სკოლის დირექტორს ან აკადემიური მიმართულებით დირექტორის მოადგილეს.
2. თუ მოსწავლის ქცევა შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, სკოლა დაუყოვნებლივ ახდენს მშობლის ინფორმიერებას ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით და უზრუნველყოფს დისციპლინური საქმისწარმოების საქმეში, მშობლის ჩართულობას სკოლაში დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 12. მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი

1. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის (Schoolbook) შესყიდვის და დანერგვის მიზნით.
2. მშობლის სურვილის შემთხვევაში, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ მშობლის ინფორმირება ასევე უზრუნველყოფილია უშუალო სატელეფონო ან პირადი კომუნიკაციით მასწავლებელსა და მშობელს შორის.
3. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პერსონალური აკადემიური და დისციპლინური აღმწერის (ე.წ. ნიშნების ფურცელის) წარმოებას და მოსწავლის ზოგად დახასიათებას, რისი გასაჯაროებაც დაუშვებელია. მშობლისათვის მისი მიწოდება ხორციელდება უშუალოდ გადაცემის გზით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 13. მოსწავლეთა აკადემიური ან/და დისციპლინური საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი

1. ნებისმიერი სახის სტატისტიკური ან/და გაანალიზებული ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მიღწვების ან დისციპლინური მდგომარეობის შესახებ შეიძლება მიეწოდოს სასკოლო საზოგადოების წევრებს ან/და განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია კონფიდენციალობა და არ ხდება კონკრეტული პირის/პირების იდენტიფიცირება.
2. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ან/და სხვა სახის წარმატება სკოლის ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე ინფორმაციის სახით შეიძლება განთავსდეს მხოლოდ შესაბამისი მოსწავლის და მშობლის წინასწარი თანხმობით.